საქართველოს დიადი ლოჟა

უძველესი თავისუფალი და
აღიარებული ქვისმთლელთა (მასონთა) ორდენი

ცნობის ფურცელი **No3**

გამოცემაში ნახავთ:

ფესვების მართებული ხედვა

ანგლო-საქსონური ხაზის წარმოშობის

ფრანგული მასონური ორდენი

აშშ რევოლუცია და მასონები

რეგულარულობა და ტრადიციები

საქართველოს დიადი ლოჟა

ელ-ფოსტა: info@glg.ge

ვებ-საიტი: www.grandlodge.ge

Facebook გვერდი

https://www.facebook.com/GrandLodge.ge/

აქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატი ყოვლად ღირსეული ძმა ვახტანგ ჯ.∴ ფესვების მართებული ხედვა

ძვირფასო მკითხველო,
ჩვენი ელექტრონული ჟურნალის (ცნობის ფურცელის) წინა ორ გამოცემაში, ვისაუბრეთ მასონობაზე ზოგადად, საქართველოს მასონური ისტორიის შესახებ და იმ რიგ მიღწე-ვებზე, რაც საქართველოს დიადი ლოჟის დაფუძნებიდან (2015) დღემდე გვქონია. ამ გამოცემაში, მსურს ვისაუბრო მასონური ორდენის ფესვებზე, ვინაიდან საქართველოში, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეული იყო საბჭოთა კავშირის ინფორმაციულ მარწუ-ხებში, საზოგადოება არ ფლობს სათანადო ინფორმაციას ვინ და რა არის მასონი, (გაგრძელე

გაგრძ, გვ.2



საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატის ყოვლად ღირსეული ძმა ვახტანგ ჯ.·.

ფესვების მართებული ხედვა

ძვირფასო მკითხველო,

ჩვენი ელექტრონული ჟურნალის (ცნობის ფურცელის) წინა ორ გამოცემაში, ვისაუბრეთ მასონობაზე ზოგადად, საქართველოს მასონური ისტორიის შესახებ და იმ რიგ მიღწე-ვებზე, რაც საქართველოს დიადი ლოჟის დაფუძნებიდან (2015) დღემდე გვქონია.

ამ გამოცემაში, მსურს ვისაუბრო მასონური ორდენის ფესვებზე, ვინაიდან საქართველოში, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეული იყო საბჭოთა კავშირის ინფორმაციულ მარწუ-ხებში, საზოგადოება არ ფლობს სათანადო ინფორმაციას ვინ და რა არის მასონი, მასონობა და ზოგადად, რა ფასეულობები გაგვაჩნია, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ. აქვე დავსძენ, რომ ჩვენში, საქართველოში, ისევე, როგორც ალბათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომრავლდა სხვადასხვა სტრუქტურა, ჯგუფი თუ წარმონაქმნი, რომელიც თავს „მასონურ" გაერთიანებას უწოდებს, რითიც ხშირად აბნევს საზოგადოებას. ეს განსაკუ-თრებით იგრძნობა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ზოგადი ცნობები მასონურ ორდენთან დაკვაშირებით შედარებით მცირეა.

სხვადასხვა ავტორს თავისი შეხედულება და მოსაზრება გააჩნია თანამედროვე მასონური საძმოს ჩამოყალიბების შესახებ. ავტორთა ნაწილი მიუთითებს იმ უტყუარ ფაქტებზე, რომ ჯერ კიდევ ეგვიპტის პირამიდების აგების ხანაში არსებობდა ქვისმთლელთა გილდიები; რიგი ავტორი მასონური ორდენების ისტორიას იწყებს ჯვაროსნური ლაშქრობების ხანი-დან, ზოგიც პირდაპირ მეთვრამეტე საუკუნიდან, როდესაც ინგლისში დაარსდა პირველი ნაციონალური სტრუქტურა - დიადი ლოჟა. არის ავტორთა ჯგუფი, რომელიც მასონთა ისტორიას იწყებს ისრაელის მეფე სოლომონიდან, რომელმაც იერუსალიმში ტაძარი ააგო. შეჯერებული ვერსია, რომ მოვიშველიოთ რამდენიმე ორგანიზაციისა და პირთა ჯგუფის ისტორია და რეალობა უნდა დავაკავშიროთ ერთმანეთს.

თუ დავეყრდნობით კონკრეტულ ფაქტებს და გავაანალიზებთ მათ, დავინახავთ, რომ ევროპის კონტინენტზე დღევანდელი სახით არსებულ მასონურ ორდენს შუა საუკუნეების პრაქტიკოსმა ქვისმთლელებმა ჩაუყარეს საფუძველი. მასონი ფრანგული სიტყვაა და სწორედ ქვისმთლელს ნიშნავს, ფრანკ მასონი კი - თავისუფალ ქვისმთლელს. ბევრი ავთენთური წყარო ამტკიცებს, რომ აღნიშნული გილდიები იყვნენ მხოლოდ გარეგანი „შეფუთვა" მათი, ვინც აღმოსავლეთიდან დაბრუნდა ევროპის კონტინენტზე და ჩამოიტა- ნა „საიდუმლო" ცოდნა თუ პრაქტიკული გამოცდილება. საჭიროებამ მოიტანა მრავალი საიდუმლო ნიშნის, მისალმებისა და შეკრების დროს გამოსაყენებელი სიმბოლოების დანერგვა. უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ოსტატი ქვისმთლელი თავისუფლად ამტკიცებდა გილდიასთან საკუთარ კავშირს, ვინაიდან სიმბოლოებისა და ნიშნების უმეტესობა (ლენდმარკები) საერთო იყო.

ჯვაროსნული ლაშქრობების ხანაში, იერუსალიმში, წმინდა მიწაზე, ჩამოყალიბდა რაინდთა ორდენი - ტაძრელები, ანუ ტაძრის რაინდები (საუბარია ისევ იგივე სოლომონის მიერ აგებულ ტაძარზე), რომლებიც ითვლებოდნენ ქრისტიანული რწმენის ყველაზე თავდადებულ მცველებად. აღნიშნული ორდენი 9 ფრანგმა ბერმა ჩამოყალიბა, რომელმაც გადაწყვიტა ხელში აეღო მახვილი და დაეცვა პილიგრიმები წმინდა მიწაზე. ამასთანავე, ბევრი ავტორი ამახვილებს ყურადღებას, რომ პირველი მეომარი ბერები კონკრეტული მიზნით ჩავიდნენ თავდაპირველად იურუსალიმში და არც მათი მეფე სოლომონის ტაძრის ყოფილ თავლებთან დაბანაკება იყო შემთხვევითი. მე-14 საუკუნის დასაწყი-სისთვის, ტაძრელები ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ორდენია, მათზე დადიოდა მრავალი ლეგენდა, მათ გააჩნდათ საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა - ზოგი მკვლევარი ასახელებს რამდენიმე ათეულ ათას, თუმცა რაინდთა რაოდენობა 2 ათასს არ სცდებოდა.

საფრანგეთის მეფემ ფილიპე ლამაზმა, 1307 წელს, მის მიერვე ხელდასმული რომის (ავინიონის) პაპის მხარდაჭერით, გამოსცა საიდუმლო განკარგულება ყველა რაინდის დაპატიმრებისა და ორდენის ქონების ჩამორთმევის მიზნით. ამისთვის, მან 1313 წლის 13 ოქტომბერს მოიწვია რაინდთა ხელმძღვანელობა, მათ შორის ორდენის დიადი ოსტატი ჟაკ დე მოლე და დააპატიმრა, 1314 წლის 18 მარტს დიდი ოსტატი მეფემ სიკვდილით დასაჯა. მეფე ფილიპმა ბევრს ვერაფერს მიაღწია, რაინდთა უმეტესობა დაუსხლტა და ვერც განძი იპოვეს მისმა მსტოვრებმა. მე-14 საუკუნიდან დღემდე ისმის შეკითხვა, სად წავიდნენ რაინდები? სად არის ტაძრელთა განძი და საიდუმლო ცოდნა? მკვლევართა ნაწილი საუბრობს კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებიც მიუთითებენ ტაძრე-ლთა კვალზე დღევანდელი შვეიცარიის ისტორიაში, მკვლევართა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ორდენს გააჩნდა საზღვაო ფლოტი (რომელიც ფრანგმა მეფემ ვეღარ დააპატიმრა და იგი გაუჩინარდა), რომლის მეშვეობითაც რაინდები დღევანდელი კანადის ტერიტორიაზე გაემგზავრნენ. შეიძლება, და ალბათ ასეც არის, რომ ყველა ეს ავტორი თავისებურად მართალია, ვინაიდან ორდენი საკმაოდ დიდი და მრავალრიცხო-ვანი იყო. რაინდთა ნაწილი თავისუფლად შეიძლება გადასულიყო ალპებზე, შვეიცარია-ში, ნაწილი კი დაბრუნებულიყო იერუსალიმში, ა.შ. . ამასთანავე, ყველაზე ძლიერი არგუმენტები და ფაქტები მაინც იმაზე მიუთითებს, რომ რაინდთა ძირითადი ჯგუფები იმ პერიოდში რომის პაპისგან თავისუფალ შოტლანდიისკენ დაიძრა.

რამდენიმე წლით ადრე, შოტლანდიის მეფე რომის პაპის მიერ ზუსტად იმავე ბრალდებე-ბით იქნა გასამართლებული, როგორც ტაძრელები. ორივე საბრალდებო დასკვნას, რომ გადავხედოთ, დავინახავთ ტექსტის აბსოლუტურ იდენტურობას, მხოლოდ ბრალდებუ-ლთა სახელებია ჩასწორებული. შოტლანდია რომის ეკლესიის იურისდიქციას განუდგა და ეს ტერიტორია იმ პერიოდში ტაძრელთა ორდენის წევრების უსაფრთხოებისთვის იდეალური ადგილი იყო. მოგვიანებით, რაინდთა ნაწილი შეუერთდა მასონურ გილდი-ებს, ვინაიდან იქ თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ და შეეძლოთ თავისუფალი გადაადგი-ლება სხვადასხვა ქვეყანაში.

საერთო სურათის მნიშვნელოვანი შტრიხია რენესანსის პერიოდი ევროპაში მე - 13 – 16 საუკუნეებში მოღვაწე ადამიანები, რომლებიც ეცადნენ ეპოქისგან განსხვავებული აზროვნების წარდგენას საზოგადოებისადმი, მიუღებელნი იყვნენ კათოლიკური ეკლესიისათვის და სამეფო ოჯახებისათვის. ამ ადამიანებში საკუთარი აბსოლუტური მმართველობისათვის და შეურყეველი ავტორიტეტისათვის უდიდეს საფრთხეს ხედავდნენ. გალილეო, და ვინჩი, ნიუტონი და სხვები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ეცადნენ გარდატეხა შეეტანათ შუა საუკუნეების სქოლასტიკურ პერიოდში, ადამიანთა ხედვაში და აზროვნებაში.

ასეთი თავისუფალი აზროვნება, მსჯელობა და საუბარი ინკვიზიციის ხანაში, როდესაც მცირედზეც კი წვავდნენ კოცონზე, იყო სახიფათო სიცოცხლისთვის, ამიტომ ეს ადამიანე-ბი საკუთარ ხელოვნებასა თუ ნააზრევს გადმოცემდნენ ფარული შიფრით, კოდებითა და სიმბოლოებით, მათი შეკრებები იმართებოდა ფარულად. ძირითადი თეზისები იწერებო-და სპეციალურად დამუშავებულ პაპირუსებზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოსახული ტექსტი სითხესთან შეხებისას უჩინარდებოდა. მოგვიანებით, ამ ადამიანებმა აგრეთვე დაიწყეს პრაქტიკოს ქვისმთლელთა გილდიებში გაწევრიანება.

ამავე პერიოდში შემოვიდა ტერმინები „პროფესიული ქვისმთლელთა გილდიები - ლოჟები“, ანუ მხოლოდ პროფესიონალი, პრაქტიკოსი ქვისმთლელებით დაკომპლექტე-ბული ლოჟები და ასევე, ის ლოჟები, სადაც უკვე ინტელექტუალები, ჯენტლმენები და არაპროფესიონალი - ანუ „აღიარებული“ / „მიღებული“ ქვისმთლელები იყვნენ გაწევრია-ნებულნი. მე-18 საუკუნეში პროფესიონალ ქვისმთლელთა გილდიები აღარც დარჩა, ისინი მთლიანად იქნენ ასიმილირებულნი აღიარებულ ანუ „მიღებულ“ მასონურ გილდიებთან.
ფაქტობრივად, დღეს არსებული მასონური საზოგადოების წინამორბედნი და სულის ჩამდგმელნი იყვნენ: შუა საუკუნეების პროფესიონალი ქვისმთლელები; სხვადასხვა ეზოთერულ - ქრისტიანული ორდენი, მათ შორის ტაძრის რაინდთა (ტაძრელები) სამხედრო ორდენი; აღმოსავლეთიდან ჩამოსული მოგზაურები, თუ საზოგადოებები, რომლებმაც ევროპის კონტინენტზე ახლებური განვითარება დაიწყეს; და რენესანსის ხანიდან მოყოლებული ის ხელოვანი, ინტელექტუალი და მოაზროვნე ადამიანები, რომელთა საქმიანობაც კათოლიკური ეკლესიის წარმოსახვაში იყო საშიში, მისი აბსოლუ-ტური მმართველობის საფუძვლებისთვის და მასების კონტროლის სისტემისთვის.

პირველი დოკუმენტური ნიმუშები ლოჟების მუშაობის, ოპერირებისა და რიტუალების შესახებ გვხვდება 16-17 საუკუნეებში. რაც, მიუთითებს იმაზე, რომ ლოჟები გაცილებით უფრო ადრე ჩამოყალიბდა და განვითარდა. მაგ. 1646 წლის დოკუმენტში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღეს წევრად შოტლანდიურ ლოჟაში ინგლისელი კაცი, ვინმე ელიას ეშმოლი.

აქ შევჩერდები, რადგან მივცე საშუალება სხვა ძმებს განავრცონ ეს თემა სხვადასხვა რაკურსში. დავძენ, რომ მასონობა არის ცხოვრების პრინციპი და ყველა ის რიტუალი თუ გამოვლენის ფორმა არის სიმბიოზი ერთი მთავარი პრინციპისა - პროგრესი, რომელიც მიიღწევა ადამიანის გონების განვითარებით, ჰუმანიზმით, სიყვარულით და სამართლია-ნობით, თანასწორობით და განმანათლებლობით.

შეიძლება ითქვას და ასევე არის, რომ დღევანდელი სახით მასონური ორდენი და მასონუ-რი ლოჟები შეიქმნა და განვითარდა თავისუფალ შოტლანდიაში, ყველა ხელნაწერი და ფაქტი ამ გარემოებაზე მიუთითებს. „დღევანდელი სახით“ მასონური ორდენი - სწორედ იმ მრავალფეროვანი აღმოსავლურ - დასავლეთის ცოდნისა და გამოცდილების გაერთია-ნებაა „ერთ ჭერქვეშ“, მათ შორის ეზოთერული, ჰერმეტული, კაბალისტური, ეგზოთერუ-ლი, როზენკროიცერული, ალქიმიური, ტეურიგიული თუ სხვა ცოდნისა და საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის მიერ დაგროვებული გამოცდილებისა. თუ როგორ მოხვდა მასონობა შემდგომ ინგლისსა და კონტინენტურ ევროპაში, ხოლო იქიდან დანარჩენ მსოფლიოში, ამაზე ამ გამოცემის სხვა სტატიები ისაუბრებენ.

რაც მთავარია 2015 და 2017 წლებში მიღებული პატენტების საფუძველზე საქართველოს დიადი ლოჟა მიუკუთვნება უძველეს ტრადიციებსა და ხელდასმით სისტემას, როგორც ანგლო-საქსონური, ასევე ფრანგულ - კონტინენტური ხაზისა.

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ინსპექტორი ყოვლად ღირსეული ძმა ირაკლი მ∴

ანგლო-საქსონური ხაზის წარმოშობის მოკლე ისტორია

ძვირფასო მკითხველო,

გამომდინარე იქიდან, რომ ბრიტანეთი დიდი იმპერია გახლდათ და ინგლისური ენა დღეს ერთ-ერთიყველაზე გავრცელებული საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებაა, შესაბამისად საერთაშორისომკითხველმა ღია წყაროებიდან მეტწილად იცის შემდეგი: 1717 წლის 24 ივნისს, ლონდონის ოთხისიმბოლური (როგორც დღეს ინგლისში უწოდებენ - „ლურჯი“) ლოჟა შეიკრიბა ლონდონის წმ. პავლესსაკათედრო ტაძრის ეზოს ტერიტრია-ზე, ტავერნაში და შეიქმნა მსოფლიოში პირველი დიადი ლოჟა (ანუსიმბოლური ლოჟების პირველი მსხვილი გაერთიანება), რომლის დიდ ოსტატად აირჩიეს ენთონი სოიერი...

არც თუ ისე ხშირად, შეიძლება ითქვას - ძალიან იშვიათად, მკითხველი სვამს ლოგიკურ შეკითხვას - თუსაიდან მოვიდნენ ეს ლოჟები, რატომ ლონდონში, რატომ შეიქმნა აუცი-ლებლობა დიადი ლოჟისდაფუძნების თუ მანამდე საუკუნეების განმავლობაში არსებო-ბდნენ მხოლოდ სიმბოლური ლოჟები, ინგლისიშეიძლება ჩაითვალოს პირველი ფედერა-ციის - გაერთიანებული სტრუქტურის ანუ დიადი ლოჟისსამშობლოდ, მაგრამ რომელია ჭეშმარიტი სამშობლო მასონური ორდენისა ... ?

ჭეშმარიტება კი სადღაც მიღმაა... ყველაფერი იწყება მე-16 საუკუნის ბოლოს და დაკავშირებულია უნიკალურდა ისტორიულ პიროვნებასთან, შოტლანდიის და შემდგომ ინგლისის მეფე ჯეიმსთან...

ჯეიმს ჩარლზ სტიურტი ცნობილია როგორც შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI (1567-დან) და ასევე, როგორცინგლისისა და ირლანდიის მეფე ჯეიმს I (1603 – 1625 წწ.). ჯეიმსი შოტლანდიის დედოფლის მერის და მისიმეორე მეუღლის - ჰენრი სტიუარტის ერთადერთი ვაჟი იყო. მერიც და ლორდ დარლი (ჰენრი) ინგლისისმეფე ჰენრი VII-ს შთამომავლები იყვნენ, ტიუდორების ხაზით. ჯეიმსი დაიბადა 1566 წლის 19 ივნისსედინბურგის სასახლეში და მოინათლა 6 თვეში კათოლიკედ. 1567 წლის თებერვალში ჯეიმსის მამა მოკლეს, ხოლო დედა დაატყვევეს 1567 წლის ივნისში პროტესტანტმა მეამბოხეებმა, მას ჯეიმსი აღარ უნახავს. ტახტიგადავიდა ჯეიმსზე.

ინგლისელი ისტორიკოსები მუდამ ცდილობენ დააკნინონ იგი, გამოჰყავთ იგი როგორც მხდალი დასულელი პედანტი... სინამდვილეში მან მიაღწია ძირითად მიზნებს - ეროვნული დოვლათი და კეთილდღეობაგაიზარდა, მის მეფობის დროს მშვიდობა კონტინენტურ ევროპასთან, ეკლესიის დამორჩილება, ს.მ. ძმიმვნელოვანია მისი მსოფლიო როლი- პირველი ავტორიზებული ინგლისურენოვანი ბიბლიის თარგმანი.

არსებული დოკუმენტური მტკიცებულებებიდან ჩანს, მაგ. 1658 წლის 24 დეკემბერის ლოჟა „თანაზიარითანხმობა“ ("The Mutual Agreement") არქივიდან, რომ მეფე ჯეიმსი მიიღეს მასონურ პირველ და გადაიყვანესმასონურ მეორე ხარისხში 1601 წლის 15 აპრილს, ლოჟა „სკუნ“ (“Scoon”) - ში. ამავე ლოჟის (დღესშოტლანდიის დიადი ლოჟაში შემავალი Scoon and Perth No. 3) დარბაზის დასავლეთ კედელზე დღემდეშემორჩენილია იმ პერიოდის ნახატი, რომელზეც მეფე გამოსახულია მასონური ინიცირების დროს, მუხლებზე, საკურთხევლის წინ. ამასთანავე, მეფემ დანიშნა „სამუშაოს ოსტატად და საერთო გუშაგად“ (დღეს შეიძლებადიადი ოსტატის პოზიციას შევადაროთ) უილიამ შოუ, რომელმაც 1598 წელს გამოსცა ლოჟის პირველიწესდება, სადაც აღწერილი იყო მასონების უფლება-მოვალეობანი, მეორე წესდება კი - 1599 წელს გამოდის, სადაც მითი-თებულია ეზოთერული მუშაობა.

შოტლანდია და ინგლისი ორი დამოუკიდებელი და მუდამ ერთმა-ნეთში მეომარი სამეფო გახლდათ, საკუთარი პარლამენტით, კანონ-ებით, სასამართლოთი. ეს გარემოება შენარჩუნდა მეფე ჯეიმსის მეფობისდროსაც, მეფე აერთიანებდა ორ სამეფოს პირადი ფაქტო-რით. 1583 წელს იგი საბოლოოდ იღებს ხელშიშოტლანდიის ერთპიროვნულ მართველობას 17 წლის ასაკში, ხოლო 1603 წელს, 37 წლის ასაკში იგიინგლისის მეფეც ხდება. ელისაბედ I გახლდათ მეფე ჰენრი VIII-ს უკანასკნელი შთამომავალი, ხოლო ჯეიმსიმისი პირდაპირი შთამომავალი იყო მარგარეთ ტიუდორის ხაზით, ჰენრი VIII-ს უფროსი დის. 1603 წელსდედოფლის გარდაცვალების გარდაუვალი ჟამი დადგა და მისმა უფროსმა მინისტრმა რობერტ სესილმაგაუგზავნა ინგლისის ტახტზე მიწვევის წერილი მეფე ჯეიმსს შოტლანდიაში. 1603 წლის 24 მარტსგარდაიცვალა ელისაბედ I და იმავე დღეს მეფე ჯეიმსი ლონდონის მეფედ გამოცხადდა.
5 აპრილს მეფე ედინბურგიდან ლონდონში დაიძრა, პირობით რომ ყოველ 3 წელიწადში დაბრუნდებოდა, თუმცა პირობა ბოლომდე ვერ დაიცვა. ამავე წლის 25 ივლისს იგი ინგლისის მეფედ აკურთხეს. ამ დღიდან იგიმეფობდა შემდეგი 22 წელი და ამ პერიოდს იაკობინურ ხანას უწოდებენ. მას ეწოდა დიდი ბრიტანეთისა დაირლანდიის მეფე. სწორედ მის მმართველობაში დაიწყო ჩრდ. ამერიკის კოლონიზაცია. მიუხედავადშოტლანდიაში პროტესტანტების მიერ მეფის ჩამოგდების რამდენიმე მცდელობისა, იგი შევიდა ისტორიაში, როგორც მონარქი, რომელმაც თითქმის 58 წელი მართა შოტლანდია, რაც ყველაზე ხანგრძლივი პერიოდიაქვეყნის ისტორიაში. მეფე ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა ხელოვნებას და კულტურას ზოგადად, მისიმმართველობის დროს სერ ფრენსის ბეკონი, ჯონ დი, ბენ ჯონსონი და უილიამ შექსპირი განაგრძობდნენ„ელისაბედის ოქროს ხანის“ დამახასიათებელ აყვავებას. მეფე ჯეიმსი ასევე მკვლევარი და რამდენიმენაშრომის ავტორია. ნიშანდობლივია, რომ მეფის ქალიშვილი ელისაბედი ბოჰემიის დედოფალი გახდა, თუმცა მხოლოდ ერთი ზამთრით, ამიტომ მას „ზამთრის დედოფალსაც“ უწოდებენ, ხოლო საინტერესო ესიმით არის, რომ ლონდონიდან მას შოტლანდიელ და ინგლისელ მასონთა დიდი ჯგუფი გაჰყვა, რამაცშემდგომში იმოქმედა პრაღის (დღევანდელი ჩეხეთი) ეზოთერულ ქალაქად ჩამოყალიბებაში.

ამდენი ბრიტანეთის და შოტლანდიის ისტორიიდან იმიტომ მოგიყევით, რომ საბოლოოდ დაგანახოთ იმპერიოდის პოლიტიკური სურათი, რასაც მოჰყვა ინგლისის (ლონდონის) პირველი დიდი ლოჟის დაფუძნება, შემდგომ კი ცნობილი განხეთქილება „ძველებსა“ და „თანამედროვეებს“ შორის, დაახლოებით 70 წლის მერე- ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟის დაფუძნება და შოტლანდიურ წარსულთან ბრძოლა...

დავუბრუნდეთ ისტორიას... მეფე ჯეიმსის გარდაცვალების შემდგომ ტახტი დაიკავა მისმა ძემ - ჩარლზპირველმა (სტიუარტი), ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალებისას - მისმა ძმამ - ჯეიმს II. მეფე ჯეიმსისქალიშვილის ანას გარდაცვალების შემდეგ 1714 წელს (აი ვუახლოვდებით საინტერესო პერიოდს) დიდიბრიტანეთისა და ირლანდიის ტახტი ერგო ანას ბიძაშვილის - სოფიას შვილს. აქვე შეგახსენებთ, რომ სწორედამ პერიოდში ხდება შოტლანდიისა და ინგლისის ერთ სახელმწიფოდ შერწყმა...

სოფია იყო ჯეიმს I -ის შვილიშვილი, ელისაბედ სტიუარტის ქალიშვილი, რომელიც მეფე ჩარლზ I-ს დაგახლდათ. გათხოვდა რა პრუსიაში, მისი ეს ხაზი ითვლებოდა გერმანულ (ჰანოვერის) ხაზად. ანასგარდაცვალების მომენტში თვით სოფიაც გარდაცვლილი იყო, შესაბამისად ტახტი დაიკავა გეორგლუდვიგმა, ანუ ბრიტანულ ყაიდაზე - ჯორჯ I-მა, სოფიას ძემ. ანას უმცროსმა ძმამ, ჯეიმს II-ის ძემ, გამოთქვაპრეტენზია ტახტზე, რამაც იპოვა მხარდაჭერა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ში, ასევე ჯეიმსს გამოუჩდნენმხარდამჭერნი დიდ ბრიტანეთში, მათ მოგვიანებით იაკობინელები უწოდეს. 1715 წელს დაიწყო შოტლანდიისგანმანთავისუფლებელი ომი ჯორჯ I-ს წინააღმდეგ. სტიუარტები დამარცხდნენ... მხოლოდ 1745 წელსჩარლზ სტიურტმა კვლავ გამოთქვა პრეტენზია ტახტზე, მაგრამ სტიუარტები კვლავ და საბოლოოდდამარცხდნენ გერმანული ჰანოვერე-ბის ოჯახის წინაშე. 1807 წელს ჩარლზ სტიუარტის უკანასკნელიპირდაპირი მემკვიდრე ჰენრი სტიუარტი გარდაიცვალა. მოვლენებს წინ გავუსწრებ და შეგახსენებთ, რომდედოფალ ვიქტორიას გარდცვალების შემდგომ (1876 წელს) ტახტი გადავიდა სხვა გერმანულ შტოზე - საქს-კობურგ-გოთას ოჯახზე, რომელიც 1917 წლიდან ცნობილია როგორც ვინძორთა ოჯახი.

1717 წელს ჯორჯ I (1714 წლიდან ჰანოვერელი ბრიტანეთის მეფე) მხარს უჭერს ინგლისურ რამდენიმელოჟას ინგლისის (ლონდონის) პირველი დიადი ლოჟის დაფუძნებაში. 1715 წელს სტიუარტებისდამარცხების შემდგომ, ინგლისში და განსაკუთრებით ლონდონში არაფერი იყო მისაღები რაცშოტლანდიასთან და მეფე ჯეიმსის შთამომავლებთან იყო დაკავშირებული.

1723 წელს გამოიცა მასონთა კონსტიტუციის პირველი წიგნი, რომელსაც ანდერსონის კონსტიტუცია ეწოდა. მის თანახმად დიადი ოსტატი არ იყო მონარქი და შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი ჯენტლმენი. 1745-51 წლებში მოხდა დიდი განხეთქილება და ამ პერიოდიდან არსებობს ორი დიადი ლოჟა ინგლისში (თარიღებსალბათ მიაქცევდით ყურადღებას), თუმცა 62 წლის შემდგომ - 1813 წლის 27 დეკემბერს (მას შემდეგ რაცსტიუარტების პირდაპირი შთამომავალი და შოტლანდიური სისხლი აღარ არსებობდა და გერმანულიხაზისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა) ეს ორი დიდი ლოჟა გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ინგლისისგაერთიანებული დიადი ლოჟა (დღეს რომ ეწოდება - UGLE). ამ თემაზე დეტალური სტატია იხილეთ ამავეგამოცემაში.

ამ პერიოდისთვის დიადი ლოჟები უკვე ევროპის მრავალ სახელმწიფოში იყო ჩამოყალი-ბებული. მასონურისინათლე აშშ-შიც გავრცელდა და შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ფუძემდებელი მამების უმეტესობათავისუფალი ქვისმთლელები იყვნენ, მათ შორის ბენჯამინ ფრანკლინი (ინიცირებული საფრანგეთის დიადლოჟაში), ტომას ჯეფერსონი და ჯორჯ ვაშინგტონი.

აქვე შეგახსენებთ, რომ შოტლანდიური წესდების რიტუალები არსებობდა უძველესი ხანიდან, XVII საუკუნისბოლოს, XVIII საუკუნის დასაწყისში (სწორედ ბრიტანეთში სამეფო გერმანული - ჰანოვერის ხაზის მოსვლისპერიოდი) ეს რიტუალები მოხვდა საფრანგეთში შოტლანდიიდან, ქ. ბორდოს ლოჟის გავლით. მისისახელწოდება, შოტლანდიელი ემიგრანტების დამსახურებაა, რომლებიც ინგლისელებს გაურბოდნენსაფრანგეთში. უმაღლესი რიტუალების სისტემა, როგორც ერთიანი სტრუქტურა მაშინ არ არსებობდა.

შოტლანდიელი ენდრიუ რამსის მეშვეობით, „მაღალი საფეხურების“ სისტემა ნელ-ნელა დამკვიდრდა ბევრფრანგულ ლოჟაში, XVIII საუკუნეში კი ფრანგულ კოლონიებში შოტლანდიური რიტუალები ეტიენმორინთან ერთად შევიდა, როდესაც შევალიე მორინი „ახალი სამყაროს დიად ინსპექტორად“ დაინიშნა. მან25 საფეხურიანი წესდებით მომუშავე „სრულყოფის ორდენი“ ჩამოაყალიბა სან-დომინგოზე და სწორედკარიბის ზღვის ამ კუნძულიდან გავრცელდა შოტლანდიური წესის რიტუალები ჩრდილოეთ ამერიკისკონტინენტზე და შემდგომ მთელს მსოფლიოში. 1765 წელს ორდენი დაფუძნდა ნიუ იორკში, ხოლო 1783 წელს ჩარლსტონში, ჩრდ. კაროლინაში. სწორედ ჩარლსტონში, ვითარდება შოტლანდიური წესდება (Rite) და ყალიბდება როგორც სტრუქტურა. 1801 წელს „სრულყოფის ორდენი“ იცვლის სახელწოდებასა დასტრუქტურას, როდესაც ჩარლსტონში ჩამოდიან პრუსიის მეფე ფრედერიკ დიდის წარგზავნილები -ფრედერიკ დალკო და ჯონ მიტჩელი. მათ ჩამოიტანეს ორდენის ახალი წესდება, რომელშიც დამატებით 8საფეხური იყო გათვალისწინებული და სახელწოდება იყო შეცვლილი - ორდენს „ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდება“ ეწოდა. მის დაფუძნებაში მონაწილეობდნენ, როგორც ინგლისელი, ასევე ფრანგიმასონები. საინტერესოა, რომ თვით მეფე ფრედერიკი მასონი იყო, იგი 1738 წელს საფრანგეთში იქნაინიცირებული თავისუფალ ქვისმთლელთა ორდენში. მეფე ახლოს იყო საფრანგეთის განმანათლებლობისწინამძღოლებთან, მათ შორის ვოლტერთან.

1801 წლის 31 მაისს, ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების ოცდაცამეტთა ხარისხის უმაღლესისაბჭო დაარსდა და მას ეწოდა „სამხრეთ იურისდიქცია“. 1802 წელს აშშ-ს სამხრეთ იურისდიქცია გასცემსპატენტს, რომელიც საფრანგეთში ჩადის და გადაეცემა ფრანგ მასონებს. ასე, საფრანგეთიდან წასულიშოტლანდიური უძველესი რიტუალები, უკან დაბრუნდა ისევ საფრანგეთში, ახალი სისტემის, წესდების სახით. 1804 წელს მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი - საფრანგეთის უმაღლესი საბჭო ფუძნდება. ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების დევიზია „Ordo ab Chao“ – „წესრიგი ქაოსის მაღლა“ და ესდევიზი პირველად სწორედ 1802 წელს გაცემულ პატენტში გამოჩნდა.

სამწუხაროდ, პოლიტიკური მიზეზების გამო (მეფე ჯეიმსი და იაკობინელები) ინგლისმა და მისმა კოლონიებმაწესდების წარმოშობის ფესვების მიჩქმალვა გადაწყვიტა, ამიტომ, ინგლისში ამ წესდებას მხოლოდ „ძველი დააღიარებული წესდება“ ეწოდება. ასევე, ძველი რიტუალები თითქმის უცვლელად მხოლოდ საფრანგეთში(საფრანგეთის უმაღლესი საბჭო - Suprême conseil de France) და მისგან გაცემულ პატენტიან იურისდიქციებშიშემორჩა, აშშ-სა და ინგლისურ კოლონიებში რიტუალებმა სახე იცვალეს. განახლებულ რიტუალთა ყველაზეცნობილ ავტორად ალბერტ პაიკი ითვლება.

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი კანცლერი ფრიად ღირსეული ძმა დავით ჭ.∴

ფრანგული მასონური ორდენის მოკლე ისტორია

ძვირფასო მეგობრებო,

საფრაგენთი არის სახელმწიფო, რომელშიც თანაზიარედ არსებობს მრავალი უძველესი და ძალიან საინტერესო ტრადიცია, ორდენი თუ სპირიტუალური მიმართულება. ვეცდები მოკლედ, მაგრამ შინაარსობრივად და გასაგებად გადმოგცეთ საფრანგეთში მასონური ორდე-ნის განვითარების ეტაპები. საფრანგეთში, პირველი მასონური ლოჟები შოტლანდიელმა სამხედროებმა და ემიგრანტებმა ქალაქბორდოში, ხოლო ირლანდიელმა სამხედროებმა სენ-ჟერმენ-დე-პრეში დააფუძნეს მე-17 საუკუნის ბოლოს, მე-18 საუკუნის დასაწყისში... საფრანგეთში საკმაოდ ძლიერი იყო როზენკროიცერთა და სხვადასხვა ეზოთერული მიმართულება, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური ეკლესია მუდამ ცდილობდა მათ შესუსტებას.

1735 წელს, ინგლისის დიდი ოსტატი და რიჩმონდის ჰერცოგი ჩავიდა პარიზში, ორდენის ახალი წევრებისინიცირების მიზნით, მათ შორის სახელმწიფო მდივნის - გრაფ სენ ფლორენტინის, რომელსაცრეკომენდაციას მონტესკიე უწევდა. ეს ყოველივე ინგლისში დიდ განხეთქილებამდე ხდება. ამ პერიოდში,ლუდოვიკო XV ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, საზოგადოებაში კი სოციალური, მორალური დადემოკრატიული ფასეულობები არც თუ ისე მტკიცე და გავლენიან პრინციპებს წარმოადგენდა. ლოჟები დამასში შემავალი არისტოკრატიული და ბურჟუაზიული ფენები არსებული მდგომარეობისა და მმართველობისწინააღმდეგ გამოდიოდნენ.

1737 წელს, რომის პაპის კლემენსას ბულაზე დაყრდნობით, მეფის პრემიერ-მინისტრმა, კარდინალმაფლერიმ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც კრძალავდა ლოჟების არსებობასა და ფუნქციონირებას.ყველა მასონს მკაცრი დასჯა ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, მასონო-ბა პროტესტის ახალ ფორმად იქცა, იმგამეფებული, აუტანელი მდგომარეობის წინააღმდეგ, რაც საზოგადოებაში, სახელმწიფოსა და ეკლესიაშისუფევდა. ამავე წელს, ცნობილმა შოტლანდიელმა მასონმა, არისტოკრატმა ანდრეას მაიკლ რამსეიმწარმოსთქვა ცნობილი სიტყვა, იგი მსოფლიოს ხედავდა, როგორც „დიდ რესპუბლიკას, რომელშიცყოველი ერი, წარმოადგენს ერთ დიდ ოჯახს და ყოველი მოქალაქე მისი შვილია“.

საფრანგეთში, კარგად ახსოვდათ, ერთ დროს ძლიერი და გავლენიანი ტაძრელთა ორდენი, ჟაკ დე მოლესხელმძღვანელობით... 400 წლის შემდგომ, ტაძრელთა ორდენი და რაინდული საზოგადოებები ინტენსიურადიხსნებოდნენ და ვითარდებოდნენ. ამავე პერიოდში, არსებობდა მასონური ლოჟების მსგავსი მრავალისტრუქტურა, საზოგადოება და ერთობა, მაგალითად „რჩეულნი ლეონიდან“, „არასის კაპიტული“, „კლერმონტის კაპიტული“, „ნოაქიტი“, „ფილალეტი“, მარტინისტთა ორდენი და სხვადასხვაოკულტუ-რი და მისტიკური ორდენი. ამ მრავალფეროვნებიდან, საფრანგეთში გამოირჩეოდა საფრანგეთის დიადი ლოჟა. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „საფრანგეთის დიადი ლოჟა“ ("Grande Loge de France") ეწოდება პირველ მასონურ დიად ლოჟას საფრანგეთის ტერიტორიაზე, თუმცა მისი დაფუძნების ზუსტი თარიღი უცნობია. 1773 წელს ამ დიადმა ლოჟამ დაამტკიცა ახალი წესდება და აიღო ახალი სახელწოდება - საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი (Grand Orient de France). ყოველივე ეს კავშირში იყო საფრანგეთის რევოლუციასთან. ამასთანავე, საფრანგეთის დიად ლოჟაში შემავალი ლოჟების გარკვე-ულმა რაოდენობამ აღნიშნული ცვლილებები არ მიიღო და განაგრძობდა მუშაობას ძველი სახელწოდებით, თუმცა 1799 წელს ეს ორი სტრუქტურა კვლავ ერთიანდება.

მასონურ ლოჟებში, მთლიანად იმარჯვებს დემოკრატიული ტენდენციები: ლოჟის ოფიცრები ირჩეოდნენ დაარა ინიშნებოდნენ, თავისუფლება და თანასწორობა, ძირითად პრინციპებად იქნა გამოცხადებული.

ამავე დროს დაიწყო საკმაოდ ცნობილი ადამიანების გაწევრიანება ორდენში. მონტესკიეს კვალდაკვალორდენში გაწევრიანდა, ფილოსოფოსი ჰელვეციუსი, ასტრონომი ლალანდი, მათემატიკოსი კონდორსე. მათი ლოჟის - „ცხრა და“ ოსტატი იყო ბენჯამინ ფრანკლინი, ლოჟის წევრები იყვნენ, ფრანსუა დელაროშფუკო (მწერალი, აშშ-ის კონსტიტუციის მთარგმნელი ფრანგულ ენაზე), ვოლტერი, ლაფაიეტი, დ'ალამბერი (ფილოსოფოსი, განმანათლებელი, „მეცნიერული ენციკლოპედიის“ რედაქტორი), მხატვრებივერნე და გრეზე, სკულპტორი გუდონი, პოეტი ანდრე შენიე, აბატი სეიესი. ფრანგული ლოჟების წევრებიხდებიან მირამბო, ბოგარნე, ბომარშე, ჟოზეფ მარი დე მესტრი, შუაზელი, შამფორი, მასენა, ტალეირანი...

საფრანგეთის, 1789 წლის რევოლუციის პირველ ეტაპზე, როდესაც ხელისუფლების ჰუმანური, არაძალისმიერი მეთოდებით შეცვლაზე იყო საუბარი, 578 დეპუტატიდან 477 მასონი იყო. ამ პერიოდში,ევროპაში პირველად დაიწყეს საუბარი ადამიანის უფლებებზე. ინგლისისგან განსხვავებით ლოჟებში დამკვიდრებულ იქნა თანასწორი არჩევნების პრინციპი, დიად ლოჟას თუ მასში შემავალ სიმბოლურ ლოჟებს ხელმძღვანელობდნენ (და დღესაც ეს დიდი სხვაობა შენარჩუნებულია) ნებისმიერი სოციალური თუ ეთნიკური წარმოშობის ღირსეული მამაკაცები. ინგლისში მოგეხსენებათ, რომ ხელმძღვანელი პოსტები, რა თქმა უნდა, დიადი ოსტატით დაწყებული - მხოლოდ „ცისფერ სისხლიანე-ბისთვის“ არის დაშვებული, მათვის, ვინც ვინძორების სამეფო ოჯახს და მის სანათესაოს მიეკუთვნება.

3 წლის შემდგომ, ხელისუფლებაში რადიკალები მოდიან და 1792 წელს საფრანგეთში აიკრძალამასონური ორდენი, რევოლუციის ამ ეტაპმა, დიდი დარტყმა მიაყენა მასონურ საძმოს, 70 ათასი მასონიდან,ნახევარიც აღარ იყო დარჩენილი. 1798 წლიდან, ხელახლა დაიწყო ორდენის გაძლიერება, რაც ნაპოლეონბონაპარტთან და მის ოჯახის წევრებთან იყო დაკავშირებული. ნაპოლეონის წმ. ელენეს კუნძულზეგადასახლების შემდგომ, მასონური ორდენი კვლავ გაიყო, დაიწყო მასონების დევნა, რომლებსაც კვლავიაკობინელებს ან ბონაპარტისტებს უწოდებდნენ, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეებმა დაიწყეს ლოჟებისმიტოვება, ლოჟების რიცხვიც მცირდებოდა.

გასააზრებელია, რომ საფრანგეთში მასონობა ძირითადად დაფუძნებული იყო და არის ძველ და აღიარებულ შოტლანდიურ წესდებას, ხოლო მასონური ლოჟების ისტორია 17 საუკუნიდან იწყება. ამასთანავე, ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდება, როგორც სტრუქტურა ცალკე არსებობდა და სიმბოლური ლოჟები ცალკე (შემდგომში დიად ლოჟებში გაწევრიანებულნი). 1799 წლიდან 1894 წლამდე საფრანგეთში არსებობდა ერთი მძლავრი დიადი ლოჟა - საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე. 1894 წელს გრანდ ორიენტს - დიად აღმოსავლეთს კვლავ გამოეყო ლოჟების ნაწილი, რომელმაც აღადგინა 1799 წლამდე არსებული წესდება და დაიბრუნა სახელწო-დება - საფრანგეთის დიადი ლოჟა. ინგლისის გაერთიანებულმა დიადმა ლოჟამ არ აღიარა ამ ორიდან არც ერთი დიადი ლოჟა და მხოლოდ მე-20 საუკუნეში ხელი შეუწყო საფრანგეთში მესამე დიადი ლოჟის დაფუძნებას, რომელსაც მისცა „ბრიტანული ხაზის აღიარება“.

1820 წელს საიმპერატორო და სამხედრო ლოჟების წარმომადგენლებმა აღადგინეს შეკრებები მემფისის დამიცრაიმის რიტუალებით მომუშავე ლოჟებში. ამ პერიოდში გრძელდება მასონების დივერსიფიკაცია„როიალისტ“ და „რესპუბლიკელ - ბონაპარტის“ მასონებად.

1804 წელს, საფრანგეთში ჩამოდის დე გრასი ტილლი, რომელიც ძველი და აღიარებულიშოტლანდიური წესდების უმაღლესი საბჭოს (სამხრეთ იურისდიქცია, ჩარსლტონი, აშშ) დავალებით იყოაღჭურვილი - ევროპაში დაენერგა ეს ახალი სისტემა, რომელიც 33 საფეხურისგან შედგებოდა. მან ესდავალება საფრანგეთში წარმატებით შეასრულა და გააერთიანა ახალი სისტემა არსებული, დიდი ლოჟისსისტემასთან, შექმნა ახალი - საფრანგეთის უმაღლესი საბჭო.

მას შემდგომ, საფრანგეთში ორი საზოგადოება ვითარდებოდა - „დიდი აღმოსავლეთი“ და „უმაღლესისაბჭო“, სწორედ ეს უკანასკნელი გახდა 1894 წელს „საფრანგეთის დიადი ლოჟის“ ხელახლი აღდგენის ინიციატორი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა 1904 წლამდე, ხოლო შემდგომ, როგორც ეს რეგულარულობის პრინციპებიდან გამომდინარეობს - მასონურ პირველ სამ ხარისხს ხელმძღვანელობს და „კურირებს“ საფრანგეთის დიადი ლოჟა, ხოლო 4-33 ხარისხებს - საფრანგეთის უმაღლესი საბჭო.

არა მხოლოდ პოლიტიკამ გაჰყო ორად მასონური ორდენი საფრანგეთში - ლიბერა-ლიზმის, პოზიტივიზმისადა ლაიციზმის იდეები ეწინააღმდეგებოდა ტრადიციონა-ლისტურ იდეებს.

მაგ., 1877 წელს საფრანგეთის დიდმა აღმოსავლეთმა მოაშორა სიმბოლო, რომელიც შემქმნელის, დიადი არქიტექტორის აღმნიშვნელი იყო, უფრო მნიშვნელოვნად სინდისის თავისუფლების პრინციპი გამოაცხადა და ლოჟის კარი ათეისტებს და შემდგომ წლებში - მანდილოსნებსაც გაუღო. ამგადაწყვეტილებამ, საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთი, საბოლოოდ გამოთიშა რეგულარული მასონურიმიმართულებიდან. ინგლისის გაერთიანებულმა დიადმა ლოჟამ შეწყვიტა კავშირი საფრანგეთის დიადაღმოსავლეთთან.

როგორც აღვნიშნე, 1894 წელს მოხდა ლოჟების ნაწილის (თითქმის ნახევარი რაოდენობის) გამოსვლა საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთიდან და საფრანგეთის დიადი ლოჟის აღდგენა. 1913 წლისთვისსაფრანგეთში არსებობდა ორი მასონური დიდი ლოჟა - „საფრანგეთს დიადი აღმოსავლეთი“ და„საფრანგეთის დიადი ლოჟა“, როდესაც ინგლისმა შექმნა (ხელი შეუწყო) მესამე დიადი ლოჟა, რომელსაც საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟა ეწოდა. იგი მაშინაც და დღესაც ყველაზემცირერიცხოვანი გაერთიანებაა საფრანგეთში. ერთი პერიოდი მანაც დაკარგა რეგულარულობა 2012 წელს და საფრანგეთში ახალი რეგულარული დიადი ლოჟა შეიქმნა - „საფრანგეთის რეგულარულ მასონთა ალიანსი“ (სნდლ - დან წამოსული ლოჟები და მასონი ძმები), რომელიც გეგმავდა საფრანგეთის დიად ლოჟასთან გაერთიანებას და იყო ისტორიული შანსი ინგლისსა და საფრანგეთს შორის აღდგენილიყო ურთიერთაღიარება და ერთობა, რასაც აქტიურად უწევდა რეკომენდაციას და მხარდაჭერას გერმანიის გაერთიანებული დიადი ლოჟა, ავსტრიის დიადი ლოჟა, შვეიცარიის დიადი ლოჟა - ალპინა, ლუქსემბურგის დიადი ლოჟა და ბელგიის დიადი ლოჟა... მაგრამ სამწუხაროდ ინგლისმა რამდენიმე წლის ფიქრის შემდგომ კვლავ არჩია საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟის ხელახლა აღორძი-ნება...

მეორე მსოფლიო ომმა, კვლავ დიდი დარტყმა მიაყენა ფრანგ მასონებს. ნაცისტურმა მარიონეტულმაფრანგულმა მთავრობამ, ბერლინის ნაცისტური მთავრობის დავალებით, აკრძალა ყველა მასონური ლოჟა, დაიწყო მასონების დაპატიმრება. ძმების უმეტესობა შეურთდა ფრანგულ პარტიზანულ წინააღმდეგობას. მხოლოდ 1943 წლიდან აღდგა ფრანგული ლოჟების მუშაობა ჩრდილოეთ აფრიკის კოლონიებში. 1945 წელს პრეზიდენტ რუზველტის დახმარებით საფრანგეთის დიად ლოჟას დაუბრუნდა შენობა და არქივები, თუმცა ამ არქივების ნაწილი ბერლინიდან მოსკოვში მოხვდა...

დღეს საფრანგეთის დიად აღმოსავლეთში 60 000-დე წევრია, საფრანგეთის დიად ლოჟაში - 40 000 მასონია, საფრანგეთის დიად ლოჟასთან აფილირებული და აღიარებაში მყოფ საფრანგეთის მასონთა ალიანსი - დიადი ლოჟა - 18 000 ძმა მასონი, ისევე როგორც მეორე მოძმე დიად ლოჟაში - სიმბოლური დიადი ლოჟა - ოპერა - 12 000 ძმა მასონზე მეტია. ბრიტანულ პროექტში - საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟა - 4-8 ათასი (დაუზუსტებელია დღემდე) წევრია.

რა თქმა უნდა სამწუხაროა, რომ საუკუნეების წინ დაწყებული პოლიტიკური თუ იდეო-ლოგიური ჭიდილი, რასაც საერთო არ აქვს ჭეშმარიტ მასონურ იდეალებთან, რეგულარუ-ლობასთან და ღირებულებებთან, ინგლისსა და საფრანგეთს შორის კვლავ გრძელდება. 2012 წელს იყო იდეალური ისტორიული შესაძლებლობა ამ ორი ისტორიულად მდიდარი და საინტერესო მიმართულების ურთიერთაღიარებისა. საკმაოდ წონიანი შუამავლებიც ჰყავდა ამ საქმეს, ანგლო-საქსონური ხაზის დიადი ლოჟებიდან - ავსტრია, გერმანიის გაერთიანებული დიადი ლოჟა, ბელგია, ლუქსემბურგი და შვეიცარია (ალპინა), ისევე როგორც მომხრეთა დიდი რაოდენობა - შვედეთი, ისლანდია, დანია, ნორვეგია, ფინეთი და სხვა. მაგრამ ალბათ ორივე გაჯიუტდა, განსაკუთრებით კი ინგლისი, რადგან დღემდე ითვლება მასონთა „დედა ლოჟად“, რაც რომ დავაზუსტოდ მართებულია - პირველ დიად ლოჟად, რომლის სამართალმემკვიდრეა დღევანდელი ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟა; და არა „მასონობის“ როგორც ესეთის, აკვანი თუ „დედა“... და სავარაუდოთ არ სურს შოტლანდიას დაუთმოს აქ „სიძველე“. საფრანგეთის დიადი ლოჟა აშშ-ში რამდე-ნიმე ისტორიული დიადი ლოჟის დამფუძნებელია და მათთან ისტორიული კავშირი გააჩნია.

რომ შევაჯამოთ - საფრანგეთში (დადასტურებულად) ყველაზე ძველ ლოჟად ითვლება „სრულყოფილი თანასწორობა“ Perfect Equality, რომელიც 1688 წელს დაფუძნდა. იგი იყო სამხედრო ლოჟა, რომელიც ჩარლზ II-ს მიერ 1661 წელს დაფუძნებული პოლკის წევრებისგან შედგებოდა და რომელიც ბოლომდე დარჩა სტიუარტების სამეფო ოჯახის ერთგული. ასევე, საინტერესოა, რომ ფრანგული ლოჟა 1720-23 წლებიდან ინგლისშიც ფუძნდება, ინგლისის პირველი დიადი ლოჟის (მისი სრული და ოფიციალური სახელია - ლონდონისა და ვესტმინსტერის დიადი ლოჟა, დაფუძნდა 1717 წ. 24 ივნისს) სისტემაში, მისი ღირსეული ოსტატი ჟან დესაგულიე (John Theophilus Desaguliers), ხოლო წევრებს შორის - ჯეიმს ანდერსონიც ირიცხებოდა, შემდგომში კონსტიტუციის ავტორი. 1732 წლიდან ლონდონის დიადი ლოჟა ხსნის მის ლოჟებს საფრანგეთში, სავარაუდოდ 1733 წლიდან არსებობს უკვე საფრანგეთის დიადი ლოჟა, თუმცა როგორც მკვლევარები ამტკიცებენ სრულად „ფრანგული ფენომენი“ ანუ სრულად დამოუკიდებელი სტრუქტურა საფანგეთის დიადი ლოჟა 1743 წელს გახდა.

1773 წელს დიადი ლოჟა გაიყო და შეიქმნა ახალი - საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი, რომელიც იყენებდა ლონდონის დიადი ლოჟის რიტუალს. 1799 წლიდან საფრანგეთის დიადი ლოჟა და საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი კვლავ ერთიანდება და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მასონური გაერთიანება ხდება. საბოლოოდ, საფრანგეთის დიადი ლოჟა მიჰყვება 1804 წლის ძველი და მიღებული შოტლანდიური წესდების ტრადიციებს და ვითარდება როგორც რეგულარული დიადი ლოჟა, ხოლო საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი ხდება მასონურ სისტემაში ახალი, ე.წ. „ლიბერალური" მიმდინარეობა, რომელიც დამოუკიდებლად განვითარდა, კარი გაუღო ათეისტებს, ქალბატონებს და მოკლედ - ყველას, ვისაც სათანადო სურვილი გააჩნდა გამხდარიყო მისი წევრი. საფრანგეთის დიადი ლოჟა დარჩა მხოლოდ მამაკაცთა ერთობად, რომელიც აღიარებს შემოქმედს, ანუ სამყაროს დიად ხუროთმოძღვარს და 1875 წლის ლოზანის კონვენტზე მსოფლიო უმაღლეს საბჭოს მიერ დამტკიცებულ რეგულარულობის პრინციპებს, ისევე როგორც, ანდერსონის კონსტიტუციის პრინციპებს.

იმ მრავალ მიზეზთაგან, თუ რატომ არ არიან ურთიერთაღიარებაში ინგლისური და ფრანგული ხაზი, აღსანიშნავია - შოტლანდიური ფესვების გაქარწყლება ინგლისში, ხოლო საფრანგეთში პირიქით - მათი მნიშვნელობა და მით უფრო შოტლანდიიდან მიღებული უმაღლესი ხარისხების რიტუალები, რომელთა შერწყმით ჩამოყალიბდა ძველი და მიღებული შოტლანდიური წესდება და შესაბამისად 33-თა ხარისხის უმაღლესი საბჭოები; ასევე, პოლი-ტიკური მიზეზები, დაკავშირებული სტიუარტების სამეფო ოჯახთან და 1714 წლის შემდგომ ინგლისში გამოჩენილ გერმანულ სამეფო ხაზთან; ისევე, როგორც „ტრადიციული" პოლიტი-კური ქიშპობა ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიებს შორის, რომელთაგან ერთი იყო და დარჩა მონარქია (რასაც თავისებური გავლენა გააჩნია მასონურ ორდენზე ინგლისში), ხოლო მეორე უკვე 250 წელია რესპუბლიკაა და მის ლოჟებში არჩევითობის და უფლებების პრინციპი თანასწორობაზეა დაფუძნებული და არა წარმომავლობაზე; ინგლისში მომხდარი განხეთქილება სწორედ „ძველებსა" და „თანამედროვეთა" შორის მოხდა, საფრანგეთმა შეინარჩუნა „ძველე-ბის" პრინციპები და რიტუალები, ხოლო 1807 წელს დაფუძნებულმა ინგლისის გაერთიანებუ-ლმა დიადმა ლოჟამ თავი გამოაცხადა ორი ამ მიმართულების ერთობის შედეგად შექმნილ სტრუქტურად, თუმცა მასში მეტი „თანამედროვეთა" -გან არის. ინგლისმა ორჯერ გაუშვა ისტორიული შანსი ურთიერთაღიარებისა - 1905 წელს, როდესაც საფრანგეთის დიადი ლოჟა აბსოლუტურად სუვერენული გახდა უმაღლესი საბჭოსგან და მას აღიარებდა თითქმის ყველა მსოფლიო რეგულარული დიადი ლოჟა (რადგან მაშინ არც იყო ასეთი მკვეთრი გამიჯვნა „ანგლო-საქსონურ" და „ფრანგულ-კონტინენტურ" მასონურ მიმართულებებად) და 2011-2013 წწ, როდესაც დაიშალა მარტივ მამრავლებად ანგლო-საქსონური მიმართულების საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟა. ინგლისმა ნაცვლად ერთობისა და ურთიერთაღიარებისა, 1913 წელს აღიარა ახალი დიადი ლოჟა, რომელიც სულ ორი ლოჟისგან შეიქმნა (ერთი წამოსული საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთის იურისდიქციიდან და მეორე საერთოდ „ველური" ანუ მარტო მყოფი ლოჟა ბორდოდან) - საფრანგეთის ნაც. დიადი ლოჟა. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ამ წარმონაქმნს გამოეყო ორჯერ ლოჟების გარკვეული რაოდენობა, რომელთაგან ერთმა ფრთამ შექმნა - სიმბოლური დიადი ლოჟა - ოპერა, ხოლო მეორე ფრთამ - საფრანგეთის ნაციონალური ლოჟა. 2012 წელს მესამე ფრთამ, რომელიც გამოეყო საფრანგეთის ნაციონალურ დიად ლოჟას (ანგლო-საქსონური მიმართულება) დააფუძნა კიდევ ერთი დიადი ლოჟა - საფრანგეთის მასონთა ალიანსი. ეს დიადი ლოჟები აფილირებულნი არიან, გააჩნიათ ურთიერთაღიარება და მეგობრობა საფრანგეთის დიად ლოჟასთან.

ეს მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია მოგაწოდეთ საფრანგეთის მასონურ ისტორიაზე, რომელიც ძალიან მდიდარია და საინტერესოა, ტრადიციული და მეორე მხრივ ინოვაციური. შოტლანდიის, ირლანდიის, ინგლისის, ავსტრიის, ნიდერლანდების, სკანდინავიის სახელმწი-ფოთა მასონობის მსგავსად, საფრანგეთის მასონობაც თან ინდივიდუალურია და თანაც უძველესი მსოფლიოში. საფრანგეთის დიადი ლოჟა ხელმძღვანელობს რა 1875 წლის ლოზანის მსოფლიო კონვენტის მიერ დამტკიცებული პრინციპებით:

თავისუფალი ქვისმთლელობა აცხადებს და აცხადებდა მისი არსებობის დასაბამიდან, შემოქმედებითი პრინციპის არსებობას, რომელსაც სამყაროს დიადი ხუროთმოძღვარი ეწოდება. იგი არ აწესებს არანაირ შეზღუდვას ჭეშმარიტების ძიებაზე და ითხოვს ტოლე-რანტობას ყველა მასონისგან, უზრუნველყოფს რა თავისუფლებას ყველასთვის.

თავისუფალი მასონობა ღიაა ყველა მამაკაცისთვის, მიუხედავად მათი რასისა, აღმსარებლობისა თუ ეროვნებისა. მასონობა კრძალავს პოლიტიკურ და რელიგიურ დისკუსიებს ლოჟებში, იაზრებს რა ყოველი ძმის თავისუფლებას მის პოლიტიკურ თუ რელიგიურ ხედვებში და მოღვაწეობაში, ლოჟის გარეთ, მანამ ასეთი ძმები კეთილი სახე-ლით სარგებლობენ და არიან თავისუფალი და ღირსეულნი.

თავისუფალი ქვისმთლელობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა უვიცობასთან ბრძოლა, ყველა მის გამოვლინებაში, მასონური ორდენის მოთხოვნა მის წევრებისადმი დაფუძნე-ბულია ადგილობრივი კანონმდებლობის მორჩილებაზე, ღირსეულ ცხოვრებაზე, სამართლიანობის დაცვაზე, მოკეთის სიყვარულზე, კაცობრიობის კეთილდღეობისთვის ღვაწლი, ყოველგვარი სარგებლის გარეშე; პროგრესის და მშვიდობის დამკვიდრება."

დანართი #1 2011 წლის 20 დეკემბრის საერთო დეკლარაცია საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟის შესახებ

20 12 2011
COMMON DECLARATION

The United Grand Lodges of Germany (VGLD), the Grand Lodge of Austria, the Grand Lodge Alpina of Switzerland, the Grand Lodge of Luxembourg and the Regular Grand Lodge of Belgium have met in London on the 14th of December, following their joint declaration of October 2011 in Berlin.

It is with consternation, sadness and indignation that they see discord and division gradually and continuously increasing and worsening within the Grande Loge Nationale Française (GLNF) since October 2009, a shocking process of moral disintegration and organizational decomposition which culminated in the events surrounding GLNF's General Assembly of the 2nd and 3rd of December 2011. These events have also been reflected upon and commented in the media in the profane world, reporting extensively facts which up to now have never been seen in the history of Freemasonry and which are intolerable taking into account its values.

These events and the irresponsible reaction of the leaders of the GLNF - in spite of repeated pleas of a growing number of foreign Grand Lodges - can only be seen as trespassing the boundaries of what is acceptable, and undoubtedly prove that the GLNF continues to violate Freemasonry's basic principles and tenets.

After a supplementary time of consideration, with deep regret, but with severity and determination the undersigned Grand Masters have therefore agreed to initiate, without delay, within their respective Grand Lodges the procedure of withdrawal of their recognition of the GLNF, each according to its specific bye-laws.

The Grand Lodges of Austria, Belgium (RGLB), Germany (VGLD), Luxembourg, Switzerland (Alpina) reconfirm their attachment, support and solidarity to and with the French Masons willing to work serenely and strictly respecting Regularity under a governance worthy of that name. They will act accordingly.

Grand Lodge of Austria A.F. & A.M., M. W. Bro. Nikolaus Schwärzler, GM
Regular Grand Lodge of Belgium, M. W. Bro. Eli Peeters, GM
United Grand Lodges of Germany, M. W. Bro. Rüdiger Templin, GM
Grand Lodge of Luxembourg, M. W. Bro. Paul Geisen, GM
Grand Lodge Alpina of Switzerland, M. W. Bro. Jean-Michel Mascherpa, GM

Jean-Michel Mascherpa
Grand Master

Paul Geisen
Grand Master

Eli Peeters
Grand Master

Nikolaus Schwärzler
Grand Master

Rüdiger Templin
Grand Master

დანართი #2 2011 წლის ბერლინის დეკლარაციის შემდგომ გამოდის 2012 წლის ივნისის ბაზელის დეკლარაცია - საფრანგეთის დიადი ლოჟის აღიარების შესაძლებლობის შესახებ.

DECLARATION OF BASEL
the 10th of June 2012

On behalf of the Grand Lodge of Austria, the Regular Grand Lodge of Belgium, the Vereinigte Grosslogen von Deutschland, the Grand Lodge of Luxemburg, and the Grand Lodge Alpina of Switzerland, their respective Grand Masters, convened today in Basel, solemnly declare:

1. Following their London declaration of 17 December 2011, the five Grand Lodges have taken the necessary procedural steps for a withdrawal of GLNF's recognition, each Grand Lodge according to its general regulations, by-laws and constitution. The Grand Lodges regret to have to make this withdrawal official and effective as of today.

2. Under the circumstances, they feel obliged to officially declare that their decision is based on the fact that under its present governance the GLNF has irrevocably slipped its moorings. In actual fact, GLNF's on-going crisis demonstrates an unforgivable neglect of masonic principles and landmarks while the composition of its electoral colleges and the voting procedure have definitely deprived its leadership of all legitimacy, masonic or otherwise. The recent split-up in its very midst, far from solving GLNF's problems, does only underline its state of decomposition.

   It is with deep sadness that the five Grand Lodges have to acknowledge the demolition of an almost one hundred-year-old masonic heritage along with the courageous work of entire generations, and this by the fault of the present leaders of the GLNF for which history will hold them.

3. The five Grand Lodges affirm their conviction that in view of its great masonic tradition France needs to retrieve its proper place in the universal chain of brotherhood through a bold reconstruction of its masonic landscape avoiding all further fragmentation.

4. Among all the potential actors of this reconstruction process, the Grande Loge de France could play a major role, having already been greatly esteemed for some time by the five Grand Lodges not only because of the quality of its brethren and their ritual work but also for their vivid and well-known desire to become part of the universal chain of recognized freemasonry.

   The five Grand Lodges believe therefore, that there is an historic chance for the Grand Loge de France to realise its aspiration assuming all the necessary choices involved are complied with, especially the need
   - to continue to work in accordance with the fundamental principles of regular freemasonry ;
   - to sever unambiguously remaining links with irregular Obediences ;
   - to respect the international customs and traditions governing the relation between a Grand Lodge and a Supreme Council.

   The five Grand Lodges seriously wish to support and to counsel the Grand Loge de France in this matter and declare their willingness to start negotiations with a view to its eventual recognition.

5. Notwithstanding this declaration, the five Grand Lodges reconfirm their determination not to abandon the very large number of present and former Brethren of the GLNF who wish to practice their traditional masonry within an administrative framework safely embedded in internationally recognized freemasonry. Their aspiration as well as the interest of all other brethren willing to become part of a reconstructed regular French freemasonry shall at all times be near to the heart of the five Grand Lodges and their negotiating representatives.

Version française page suivante

- 1/2 -

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატის მოადგილე ყოვლად ღირსეული ძმა გიორგი პ.·.

აშშ რევოლუცია და მასონები

ყოველი რევოლუცია კაცობრიობის უახლეს ისტორიაშია ასე თუ ისე მოარული ჭორებით დაკავშირებული იყო მასონებთან. ეს იქნებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, სამხრეთ ამერიკაში თუ ჩვენს რეგიონში მომხდარი რევოლუციები. რა თქმა უნდა პირდაპირი კავშირი მასონურ ორდენს, როგორც ერთიან ორგა-ნიზაციას არ ჰქონია არც ერთ მსგავს მოვლენასთან, ვინაიდან მასონური ორდენი რჩება პოლი-ტიკისა და რელიგიის მიღმა. მეორე მხრივ, ამა თუ იმ ქვეყანაში მასონური ორდენი შედგება პროგრესული, განათლებული და პატრიოტი მამაკაცებისგან, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური ხედვა და მსოფლმხედველობა. ამ შესავლის შემდეგ, დავძენ, რომ აშშ-ის რევო-ლუცია და ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, ისევე როგორც აშშ-ის სამოქალაქო ომი (რომე-ლიც ამ სტატიაში არ იქნება განხილული) საკმაოდ საინტერესო ფურცელია არა მხოლოდ პროანულ ისტორიულ ჭრილში, არამედ მასონური ისტორიაშიც.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ, განსაკუთრებით გამძაფრდა ბრიტანული და ფრანგული დიპლომატიური ურთიერთობები, მათ შორის მასონურიც. დაპირისპირება 1775 წლიდან მიმდინარეობდა ინგლისის ჩრდილო ამერიკულ კოლონიებში, სადაც შეიარაღე-ბული ადგილობრივი მოქალაქეები იარაღით ხელში ებრძოდნენ ინგლისელ სამხედრო ნაწი-ლებს, რაც საბოლოოდ ეროვნულ აჯანყებაში - განმათავისუფლებელ ბრძოლაში გადაიზარდა.

თავისუფლებისთვის ბრძოლა ამერიკელებს თავიდან უჭირდათ, ბრიტანელი გაწვრთნილი სამხედროები, რომელთა რიცხვი 20 ათასს შეადგენდა, ამარცხებდნენ და სასტიკად სჯიდნენ აჯანყებულებს. ინგლისელებს ინდიელების ტომებიც ეხმარებოდნენ, რომლებიც კოლონისტე-ბზე შურს იძიებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის 13 კოლონიაში 2,5 მილიონი მოქალაქე ცხოვრობდა, მათი პარტიზანული და მეამბოხეთა ნაწილებში ჯამში 5000 მებრძოლი ირიცხე-ბოდა. ჯორჯ ვაშინგტონის სამხედრო ნაწილებს ეცვათ ცუდად და არ იყო სათანადოდ გაწვრთნილი და შეიარაღებული, ბევრი ამერიკელი კოლონისტი არ ჩქარობდა შეერთებოდა აჯანყებას. ალექსანდრე ჰამილტონი წერდა კიდეც იმ წლებში, რომ „ჩვენი თანამოქალაქეები გამოხატავენ ვირის სიბეცეს და ცხვრის პასიურობას... ისინი არ არიან მზად გახდნენ თავისუ-ფალი... ჩვენი მხსნელი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთი და ესპანეთი...“.

და აი, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, როდესაც აჯანყებულებმა მიიღეს დახმარება. ამ დახმარების ერთ-ერთი ინიციატორი იყო პიერ ოგიუსტენ დე ბომარშე. 1776 წლის ივნისიდან საფრანგეთმა გამოჰყო დაფინანსება ამერიკელ აჯანყებულთა დასახმარებლად, ისევე როგორც იარაღი ფრანგული არსენალიდან. ბომარშემ ასევე შეიძინა 25 ათასი ჯარისკაცისთვის საჭირო ეკიპირება. როგორც კი ეს ამბები ჩავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში, 1776 წლის ივლისში ფილადელფიაში 13 კოლონიამ გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდე-ბლობა. აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელი საფრანგეთში გახლდათ ბენჟამინ ფრანკლინი, რომელიც ერთი ლოჟის წევრი იყო ბომარშესთან. ფრანგების აქტიურობით აშშ ეხმარებოდა სხვა ევროპული სახელმწიფოებიც - მაგ. ესპანეთი და ნიდერლანდები.

მასონი იყო ჯორჯ ვაშინგტონიც და იმ ლიდერთა დიდი უმრავლესობა, რო-მელმაც გადაწყვიტა აშშ-ს დამოუკი-დებლობის გამოცხადება და ხელი მოაწერა დამოუკიდბლობის დეკლა-რაციას, მისი ავტორის - ტომას ჯეფერსონისა და ბენჯამინ ფრანკლი-ნის ჩათვლით. მასონთა ცენტრი იმ პერიოდში გახლდათ ჩარლსტონი, სამხრეთ ქეროლაინა. იმ პერიოდში სამხრეთ იურისდიქციის ხელმძღვანე-ლობას აქტიური ურთიერთობები გააჩნდა როგორც საფრანგეთთან, ასევე შოტლანდიასთან. სწორედ შოტლანდია მიიჩნეოდა მე-16 საუკუნიდან მასონური ორდენის სამშობლოდ (და არა ინგლისი, როგორც ეს დღეს არის ცნობილი). შოტლანდიელი მასონები გამოხატავდნენ აშკარა თანადგომასა და სოლიდარობას ინგლისის ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების აჯანყებისადმი.
ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ იმპერიის ჯარების გამოყვანას კოლონიებიდან და აშშ-ს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მას შემდეგ, რაც ბრიტანულმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს ჩარლსტონს, შოტლანდიელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ამაში მათ ინგლისის ახალმა კანონმა შეუწყო ხელი, რომელიც აუქმებდა (1780) ანტიკათოლიკურ კანონებს, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია პროტესტანტებში. ლორდ გორდონი ხელმძღვანელობდა „პროტესტანტთა კავშირს", რომელმაც ივლისის თვეში ლონდონში არეულობები მოაწყო, რომლის ჩახშობას სამხედრო ნაწილების შემოყვანა დასჭირდა და რამდენიმე ასეული ადამიანი ემსხვერპლა. ინგლისელები ამ არეულობების უკან საფრანგეთის, შოტლანდიისა და აშშ-ს „უჩინარ ხელს" ხედავდნენ. ისმოდა ბრალდებები ბენჯამინ ფრანკლინის წინააღმდეგ.

დღეს კარგად ცნობილია, რომ მასონურმა იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ფრანგულ ბურჟუაზიულ და აშშ რე-ვოლუციებზე. თავისუფლება, როგორც ყველა მოქალაქის უპირველესი უფლება, ისევე, როგორც თანასწორობა და ძმობა! რამდენიმე კარგი ნაშრომი არსებობს იმ თეზისების შესახებ - თუ რამხელა ზეგავლენა მოახდინა მასონურმა ფილოსოფიამ პროგრესზე! დღეს აშშ-ში შეიძლება ბევრს აღარც ახსოვდეს ან არც იცოდეს ფრანგი მასონების უდიდეს ზეგავლენაზე, დახმარებაზე და მხარდაჭერაზე აშშ დამფუძნებელი მამების, პატრიოტებისა და თავისუფლებისთვის მებრძოლთათვის.

ჩრდილოეთ ამერიკაში დამოუკიდებელი მასონური ინსტიტუტები არ არსებობდა მე-18 საუკუნის ბოლომდე, მასონები მიეკუთვნებოდნენ ინგლისის პირველ ლოჟას (Premier Grand Lodge) ან ძველ და მიღებულ მასონთა დიად ლოჟას ან საფრანგეთის დიად ლოჟას. ცნობილია, რომ ბოსტონსა და ფილადელფიაში, ისევე როგორც ჩარლსტონში, მასონები იკრიბებოდნენ და მუშაობდნენ უკვე 1730 წლიდან. ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე მასონობის გავრცელება ძირითადად ხდებოდა ე. წ. „სამხედრო ლოჟების" მეშვე-ობით, როგორც ფრანგული, ასევე ინგლისური. ერთ-ერთი უძველესი ცნობა მასონის ინიცია-ციის შესახებ სწორედ 1731 წელს და ბენჯამინ ფრანკლის უკავშირდება. იმ პერიოდში მასონურ გაერთიანებებს აშშ-ში ინგლისელები აკონტროლებდნენ, პროვინციული დიდი ლოჟების და დანიშნული რეგიონული ინსპექტორების მეშვეობით.

1749 წელს ფრანკლინი დანიშნული იქნა პენსილვანიის პროვინციის დიად ოსტატად. ფრანკლინი რამდენჯერმე იყო ჩასული ინგლისში, ყოველი ვიზიტის შემდგომ ამერიკაში დაბრუნებისას მისი რიტორიკა ბრიტანეთის მონარქიის წინააღმდეგ უფრო მწვავე ხდებოდა. 1775 წელს ის ბრუნდება ინგლისიდან აშშ-ში და ხდება მეორე კონტინენტური კონგრესის წევრი, იწყება აჯანყება ბრიტანეთის წინააღმდეგ. ამავე კონგრესმა დაავალა მასონ ვაშინგტონს მთავარსარდლობა, ხოლო მასონ ჯეფერსონს - კონსტიტუციის შედგენა. ვაშინგტონი 20 წლით ახალგაზრდა იყო ფრანკლინზე, იგი 1752 წელს მიიღეს მასონთა ორდენში შტატ ვირჯინიაში.

კონგრესის ხელმძღვანელი გახლდათ ჯონ ჰენკო-კი, ასევე თავისუფალი ქვისმთლელი ჰარვარდიდან, მან პირველმა მოაწერა მოგვიანებით (1776 წლის 4 ივლისს) აშშ-ს დამოუკიდებლობის აქტს.

1776 წელს კონგრესი აგზავნის სამკაციან დელეგაციას, რომელსაც ფრანკლინი ხელმძღვანელობდა საფრანგეთში, დახმარების მისაღე-ბად. ფრანკლინი წევრიანდება პარიზულ ლოჟაში „ცხრა და“ და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ მასონებთან. ფრანგები მას აღიქვამდნენ, როგორც ახალი სამყაროს ღირსებისა და თავი-სუფლების სიმბოლოდ. საბოლოოდ 1776-78 წლებიდან საფრანგეთი იწყებს ამერიკელების დაფინანსებასა და იარაღით მომარაგებას. ინგლისი კარგავს ჩრდილოეთ კოლონიებს. ეს ინგლისმა საფრანგეთს, ფრანგ და შოტლანდიელ მასონებს არ აპატია... დღემდე... ისევე, როგორც არ აპატია მონარქიის წინააღმდეგ რესპუბლიკელთა გალაშქრება...

ამასთანავე, ინგლისის დიადი ლოჟა 1893 წლამდე აღიარებდა ფრანგულ მასონურ დიად ლოჟას, რომელსაც თავიდან საფრანგეთის დიადი ლოჟა, ხოლო მოგვიანებით საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი ეწოდებოდა. 1893 წელს საფრანგეთის დიად აღმოსავლეთში მოხდა განხეთქილება, ნაწილი ლოჟებისა, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ რიგ ნოვატორულ იდეებს, გამოეყო საფრანგეთის დიად აღმოსავლეთს და აღადგინეს საფრანგეთის რეგულარული დიადი ლოჟა. 20 წლის შემდგომ ინგლისმა გადაწყვიტა ახალი, მესამე დიადი ლოჟის შექმნა საფრანგეთის ტერიტორიაზე, რომელიც მისი გავლენის ქვეშ იქნებოდა. დიადი აღმოსავლეთიდან გამოსული ერთი ლოჟა პარიზში და მეორე ველური ლოჟა ლეონიდან ქმნიან საფრანგეთის ნაციონალურ დიად ლოჟას, რომელიც ხან კარგავდა და ხან კვლავ იძენდა ინგლისელთა აღიარებას.

იდეალები, რომლებიც ჩამოყალიბდა საფრანგეთში, რომელიც ეფუძნებოდა რესპუბლიკურ წყობას, თავისუფლების უფლებას, სამართლიანობას, თანასწორობას, ძმობას, კანონის უზენაე-სობას, და რომელსაც ეფუძნება დღევანდელი დემოკრატიის ყველა ძირეული პრინციპი, შევი-და ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქნა გათვალისწინებული 1776 წლის 4 ივლისს მიღებულ დამოუკდებლობის დეკლარაციაში. ამავე პრინციპებზე იყო დაფუძნებული საფრა-ნგეთის ბურჟუაზიული რევოლუციაც.

საქართველოს დიადი ლოჟის უმცროსი გუშაგი ფრიად ღირსეული ძმა ვახტანგ გ∴

„ძველები“ და „თანამედროვეები“

აოა ᲫᲘᲝᲚᲝᲓ ᲝᲔᲕᲝᲫᲐ ᲯᲝᲝᲤᲐᲜᲛᲐ, არამედ, დარწმუნებული ვარ, ბევრმა მასონმაც არ იცის ზუსტად ინგლისის და შემდგომ ანგლო - საქსონური სისტემის წარმოშობის ზუსტი ისტორია. ამ ისტორიის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც „ძველებისა“ და „თანამედროვეთა“ დაპირისპირება მასონურ ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ მასონური ლოჟები არსებობდნენ გაცილებით ადრე, ვიდრე პირველი ფორმალური ფედერაცია, გაერთიანება - დიადი ლოჟა შეიქმნა. ასეთი ლოჟები არსებობდა შოტლანდიაში, ირლანდიაში, ინგლისსა და უელსში, საფრანგეთსა და ბოჰემიაში, ა.შ. 1717 წელს 4 ლონდონის ლოჟა ქმნის ინგლისის პირველ დიადი ლოჟას - Premier Grand Lodge of England (ლონდონის დიადი ლოჟა). ეს სტრუქტურა ნელ-ნელა იზრდებოდა, რამდენიმე ათეული ლოჟა შეურთდა მას, ამასთანავე, მწვავდებოდა რიტუალური და კონცეპტუალური დაპირისპირება, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო მასონური ცერემონიები.

„თანამედროვენი“ (“Moderns”) რიტუალების გათანამედროვეობის მომხრენი იყვნენ, „ძველები“ (Ancients ან Antients) კი პირიქით - მიიჩნევდნენ, რომ მასონური ქვაკუთხედები (Landmarks) სწორედ უძველეს მასონურ რიტუალებზე და რიტუალურ მუშაობა-ზე იყო დაფუძნებული. თანამედროვენი მასონური ორდენის სამე-ფო დინასტიასთან დაკავშირების და ორდენის „სოციალურ“ ორგანი-ზაციად ტრანსფორმაციის მომხრენი იყვნენ, „ძველები“ კი ტრადი-ციებისა და ფესვების დაცვის მომხრენი. 1751 წელს ინგლისში განხე-თქილება მოხდა, ლონდონის დიადი ლოჟა საბოლოოდ დარჩა „თანამედროვეთა“ კონტროლის ხელთ და მას „ინგლისის დიადი ლოჟა“ ეწოდა, ხოლო „ძველებმა“ დააფუძნეს „ყოვლად უძველესი და ღირსეული თავისუფალი და მიღებული მასონთა საზოგადოება“ ძველი წესდების საფუძველზე.
ძველების იდეური ხელმძღვანელი და დიადი ოსტატის მოადგილე (თითქმის მთელი მისი ცხოვრება) იყო ლორენს დერმოტი, რომელმაც დაუწერა მასონური კონსტიტუცია და რეგლამენტი (Ahiman Rhezon)რამდენიმე ათეულ დიად ლოჟას მსოფლიოს გარშემო, მათ, ვინც იზიარებდა „ძველების“ ტრადიციულ ხაზს.

მოგვიანებით ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც „თანამედროვეებმა“ შეძლეს და 1764 წელს ედინბურგის ლოჟები „გადაიბირეს“. ამავე პერიოდში ფუძნდება მესამე დიადი ლოჟა, რომელსაც იორკისა და სრულიად ინგლისის დიადი ლოჟა ეწოდებოდა. 1791 -1799 წლებში ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაძაბული პოლიტიკური და სამხედრო მდგომარე-ობის გამო, ინგლისის სამეფოში მიღებულ იქნა „არაკანონიერ საზოგადოებათა შესახებ“ აქტი, რომელიც უკრძალავდა ინგლისის მოქალაქეებს საიდუმლო ორგანიზაციების წევრობას, სადაც ფიცის დადება იყო აუცილებელი, რათა არ მომხდარიყო ნაპოლეონის აგენტურული ქსელის შენიღბვა. ორივე დიადი ლოჟა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა და მოუწია ახლო თანამშრომლობა, რათა დაეღწიათ აღნიშნული აქტის მოქმედების არეალიდან. გამონაკლისი დაშვებულ იქნა, ხოლო ამ საკითხის ირგვლივ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ამ ორი დიადი ლოჟის დაახლოე-ბას, რაც 1813 წლის 27 დეკემბერს, წმინდა იოანეს ხსენების დღეს, დასრულდა ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟის დაფუძნებით.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ 1717 წელს დაფუძნებული დიადი ლოჟა არ აღნიშნავს „მასონობის დასაწყისს“, ის მხოლოდ პირველი „ფედერაციული სისტემაა“, ანუ უკვე არსებუ-ლი სიმბოლური ლოჟების (ამ შემთხვევაში, - ოთხი ასეთი ლოჟის) ერთობა, რომელსაც იმ ხანად მხოლოდ დიადი ოსტატი და ორი გუშაგი წარმოადგენდა და მისი „იურისდიქცია“ ვრცელდებოდა ლონდონის ცენტრიდან 10-15 კილომეტრის რადიუსით. „ლონდონის დიადი ლოჟა“ შემდგომ ტრანსფორმირდა „ინგლისის პირველ დიად ლოჟად“, რომელმაც 1717-1740 წწ. განმავლობაში გააფართოვა საკუთარი იურისდიქცია, იღებდა რა მის შემადგენლობაში ლონდონის გარეთ არსეულ სიმბოლურ ლოჟებს. 30-იან წლებში იქმნება პირველი პროვინციუ-ლი (რეგიონული სტრუქტურული ერთეული) დიდი ლოჟები, ბრიტანეთის იმპერიის ტერი-ტორიაზე.

ამ პერიოდში არ იყო ჯერ განსაზღვრული მასონური წესი, რომელსაც ექსკლუზიური ტერიტორიული იურისდიქცია ეწოდება, ინგლისის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა იორკის დიადი ლოჟაც (შემდგომ სამეფო თაღის ფუძემდებელი), ირლანდიაში ფუძნდება დიადი ლოჟა 1725 წ. , ხოლო შოტლანდიაში - 1736 წელს. მრავალი რეგულარული სიმბოლური ლოჟა არსებობდა კვლავაც დამოუკიდებლად, ყოველგვარი სისტემის გარეშე, ძველი ტრადიციების შესაბამისად და არ უერთდებოდა ლონდონის დიად ლოჟას. მათ მოგვიანებით წმ. იოანეს ლოჟები ეწოდათ.

მასონობა საკმაოდ გავრცელებული იყო ირლანდიაში, ლოჟა არსებობდა თითქმის ყველა სოფელში, დიადი ლოჟის დაფუძნებამდეც კი. ბევრი ირლანდიელი ემიგრანტი მიემგზავრებო-და ინგლისში, ბევრი ირლანდიელი ბიზნესმენი, მწარმოებელი და ხელოსანი ჩადიოდა ლონდონში. როდესაც მათ დაიწყეს ინგლისელთა ლოჟებში მიმართვა დასწრების ან აფილაცი-ის სურვილით, ისინი ინგლისელბმა უკან გააბრუნეს, არ დაუშვეს.... რადგან 1730-40 წწ. ლონდონის დიადი ლოჟა იქცა ცისფერსისხლიანთა კავშირად, რომელშიც მხოლოდ გაბატონე-ბული კლასი, სამეფო ოჯახის წარმომადგენლები, სნობები იყვნენ წევრებად. ეს ტრანსფორმა-ცია სულ რაღაც 15-20 წელიწადში მოხდა ლონდონის დიადი ლოჟის დაფუძნებისას, ვინაიდან ენტონი სოიერი, პირველი დიადი ოსტატი, ნამდვილად არ იყო სამეფო სისხლის და არც მდი-დართა კლასს მიეკუთვნებოდა, თუმცა იყო ჯენტლმენი. ირლანდიელებიც ამიტომ დაიწუ-ნეს ლონდონში... ირლანდიელი ხელსონების ადგილი არ იყო ლონდონელ სნობთა შორის... იგივე და უფრო მკაცრი დამოკიდებულება იყო შოტლანდიელ მასონთა მიმართ.

ამიტომ, შოტლანდიელმა და ირლანდიელმა მასონებმა დაიწყეს ცალკე შეკრება ლონდონში, გაიარეს რა კონსულტაცია ირლანდიის დიად ლოჟასთან დაარსეს 1740 წელს დიადი კომიტეტი, რომელიც მასონური ძველი ტრადიციებისა და წესების სრული დაცვით 1751 წელს გარდაიქმნა რეგულარულ დიად ლოჟად. პარალელურად, ლონდონის ლოჟები 1750 წლისთვის მეტად დაემსგავსნენ მდიდრულ კლუბებს, ვიდრე მასონური ძველი ტრადიციების მატარებელ საზოგადოებებს. ლონდონურმა ლოჟებმა მოახდინეს პრინციპების და სტრუქტურის „მოდერნიზაცია", „განახლება", შესაბამისად მათ შემდგომში ხვდათ წილად სახელწოდება - „ახლები" (Moderns) , ხოლო ახალი დიადი ლოჟა, რომელიც ირლანდიელ და შოტლანდიელ მასონებისგან შედგებოდა და რომელსაც მოგვიანებით ბევრი ინგლისური ლოჟაც შეუერთდა, მისდევდა ძველ წესებსა და ტრადიციებს, შესაბამისად, მას (დიად ლოჟას) ერგო შემდგომში სახელწოდება - „ძველები" (Ancients). „ძველებს" გაუმართლათ რომ მათი დიადი მდივანი და შემდგომ დიადი ოსტატის მოადგილე იყო „იმ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი და ენერგიუ-ლი მასონი" - ლოურენს დერმოტი, რომელმაც ხელი შეუწყო იორკის დიად ლოჟასთან თანამ-შრომლობას, სამეფო თაღის (Royal Arch) განვითარებას, სამხედრო ლოჟების დაფუძნებას და ძველ ტრადიციებზე დაუძნებული კონსტიტუციის მიღებას. შეიძლება ითქვას და ბევრი მასო-ნური ისტორიის მკვლევარი ამას ადასტურებს, რომ „ძველების" დიადი ლოჟა იყო სწორად გადამრჩენელი მასონური ტრადიციებისა და მასონობისა ბრიტანეთში.

ძალიან ღრმად და დეტალურად, რომ არ განვიხილოთ ამ ორი დიადი ლოჟის საქმიანობა, მასონური სამართლებრივი მხარეები და პოლიტიკურ - სოციალური ქვეკონტექსტი, დავძენ, რომ 1717 წელს დაფუძნებულმა დიადმა ლოჟამ დაამსხვრია უძველესი ფასეულობები და ტრადიციები, კარი ჩაუკეტა ყველას ვინც არ იყო წარჩინებული, არ არსებობდა ძმური მხარდა-ჭერა არა მათი ლოჟის წევრების, ა.შ. სწორედ ამიტომ, აშშ-ში რევოლუციის პერიოდში ძლიერდება „ძველების" ლოჟები და იშლება „ახლების" ლოჟები. „ახლები" იყვნენ არისტოკრა-ტიულ - როიალისტური, პრობრიტანული და სნობისტური, ხოლო „ძველები" - უფრო დემოკრატული, „საყოველთაო", რესპუბლიკური, პატრიოტული (ეროვნული თვითმყოფადო-ბის ელემენტებით)... აშშ-ში და კანადაში „ძველების" ლოჟების იორკის ლოჟებს უწოდებდნენ ხშირად.

ბრიტანელები დღემდე ცდილობენ ამ ისტორიის ჩრდილში დატოვებას. ვინაიდან ითვლება, რომ ორი დიადი ლოჟა გაერთიანდა და რიტუალი რომლითაც დღევანდელი ინგლისის გაერთიანებული დაიდი ლოჟა მუშაობს - „ერთობის ანუ ემულეიშენი რიტუალი" წარმოადგენს „კონსესუსს", მაგრამ დიად ლოჟას კვლავ მონარქი ხელმძღვანელობს, ისევე, როგორც თითქმის ყველა მაღალი რანგის ოფიცერი „ცისფერსისხლიანია".

საინტერესოა თუ როგორ განვითარდება ანგლო - საქსონური მასონობა BREXIT-ის შემდგომ და 2018 წლიდან მოყოლებული იმ შიდა წესების ცვლის ფონზე, რაც ინგლისის გაერთიანებულ დიად ლოჟაში მიმდინარეობს. ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟა ითვლება რეგულა-რულობის განმსაზღვრელად, ამასთან, ინგლისსა და აშშ-ის იურისდიქციებში დიდ და ვფიქრობ, გადამატებულ ყურადღებას აქცევენ წევრთა რაოდენობას.



საქართველოს დიადი ლოჟის დიადი მჭევრმეტყველი ფრიად ღირსეული ძმა ლევან ჯ.

რეგულარულობა და ტრადიციები

[illegible] ფრანგულენოვან [illegible] მასონურ საზოგადოებაში მუდმივად მიდის დისკუსია თუ რა არის რეგულარულობა და ვინ არის რეგულარული და ვინ არა, რა განსაზღვრავს ამ რეგულარულო-ბას, რა არის რეგულარულობის კრიტერიუმები და ა.შ.

ეს საკითხი საკმაოდ ფაქიზი და რთულია, ამასთანავე, ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი ჩვენი ორდენისთვის. ამ საკითხების გაუაზრებლობა არ შეიძლება, უნდა ვხდებოდეთ სად გადის საზღვარი მასონურ და არამასონურ სტრუქტურებს შორის.

მსოფლიოში მრავლად არის სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოება, კლუბი, ორგანიზაცია თუ სექტა, მათი ნაწილი თავს წარმოადგენს, როგორც მასონური გაერთიანებები, სინამდვილეში კი მათ საერთო არაფერი აქვთ მასონობასთან. მთავარი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრა-ვენ „მასონობას“ და განარჩევენ ფსევდო ე.წ. „მასონური“ ორგანიზაციებისაგან, სწორედ რეგულარულობის პრინციპებია.

რეგულარულობა ნიშნავს, რომ მუშაობა, რომელსაც ერთად ატარებენ ადამიანები, რომლებიც თვლიან საკუთარ თავს და ერთმანეთს მასონებად აღიარებენ, მიჰყვებიან გარკვეულ წესებს, ნორმებსა და ტრადიციებს. ინიცირება ტრადიციის ნაწილია, რომელიც მასონთა ყოველ ახალ „თაობას“ უწყვეტად გადაეცემა საუკუნეების განმავლობაში. აღიარება კი აუცილებელია იმიტომ, რომ მხოლოდ წესებისა და ტრადიციების დაცვა საკმარისი არ არის. აღიარება მოიცავს დასტურს იმისა, რომ ვეკუთვნით უწყვეტ მასონურ ძმურ ჯაჭვს.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ეს საკითხი საკმაოდ ფაქიზი და რთულია. არის შემთხვევები, როდესაც ორი რეგულარული დიადი ლოჟა ერთმანეთს არ აღიარებს, ან აღიარებდა და შეწყვი-ტა აღიარება, ან ერთი და იგივე სახელმწიფოში ორი თანაბრად ტრადიციული იურისდიქცია აღიარებს ორ სხვადასხვა ადგილობრივ დიად ლოჟას. რეგულარულობა ეს არის წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულებით მასონს აქვს უფლება ეწოდოს ასეთი. ამ წესებს მასონუ-რი ქვაკუთხედები (ლენდმარკები) ეწოდება. ასეთი ქვაკუთხედები ბევრია, თუმცა პრინციპი ერთია ყველა იურისდიქციისთვის. ამ ლენდმარკების პირველი კრებული ანდერსონის კონსტიტუციაშია მოცემული, მათში უმთავრესია შემქმნელის და სულის უკვდავების რწმენა. ღმერთის, შემქმნელის რწმენა საკუთარ თავში არ მოიაზრებს რომელიმე კონკრეტული და ტრადიციული რელიგიისადმი კუთვნილებას. ათეისტისთვის ლოჟის მუშაობის დროს სხვა „სირთულეც“ იქმნება - ლენდმარკა, რომელსაც წმინდა კანონთა კრებული ეწოდება. ასეთი წიგნი შეიძლება იყოს რომელიმე ტრადიციული რელიგიის წმინდა წიგნი - ბიბლია, ყურანი, ვედები, ამათში მხოლოდ ბიბლიაა გახსნილი. ამასთანავე, ძმას შეუძლია დადოს ფიცი ნებისმიერ წმინდა წიგნზე, ვინაიდან აქ მთავარია ფიცის დადება, რომელიც „წმინდაა“ და იდება სამყაროს დიადი ხუროთმოძღვრის წინაშე. წმინდა კანონთა კრებული წარმოადგენს პირველ სინათლის მნათობს, ხოლო დანარჩენი ორი - ფარგალი და გონიო, მატერიისა და სულიერი საწყისის სიმბოლოებია.

აუცილებელი ქვაკუთხედია (ლენდმარკი) ძმების მუშაობა ლოჟაში, ორდენის პირველ სამ ხარისხში. თითოეულ ლოჟას ხელმძღვანელობს ღირსეული ოსტატი და ორი - უფროსი და უმცროსი გუშაგი. ლოჟა უნდა იყოს დახურული, ეს გულისხმობს არა მხოლოდ პროფანების შეზღუდვას, არამედ სათანადო ხარისხის ძმის დაშვებას ამა თუ იმ მუშაობაზე. ასევე, მასონუ-რი წესებით, ნებისმიერი ძმა ოსტატი, კანონიერად და რეგულარულად დაფუძნებული სიმბო-ლური ლოჟიდან უნდა იქნეს დაშვებული სხვა რეგულარულ და აღიარებაში მყოფ სიმბოლურ ლოჟაში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ეს წესი გარკვეული შეზღუდვებით ვრცელდება მოსწავლეებზე და შეგირდებზეც. მხოლოდ ნიშნებისა და საიდუმლო სიტყვების ცოდნა არ არის საკმარისი დაშვებისას, ვინაიდან ეს ნიშნები თუ სიტყვები ცნობილი შეიძლება იყოს იმ ძმისთვისაც ვინც გაირიცხა ორდენიდან. ამიტომ, ნებისმიერი ძმა, რომელიც ესწრება სხვა ლო-ჟის მუშაობას ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ იგი არის ორდენის ნამდვილი წევრი.

საზღვარგარეთ დასწრების შემთხვევაში ძმამ უნდა წარადგინოს დოკუმენტი, რომელსაც Good Standing ჰქვია, რომელსაც მხოლოდ დიადი მდივანი (ან დიადი კანცლერი) აწერს ხელს და რომელშიც მითითებულია ძმის ვინაობა, მისი კონკრეტული ლოჟის კუთვნილება, ნებართვის გაცემის ვადა და ა.შ.
ნებისმიერი ძმა ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს დიადი ლოჟის კონსტიტუციასა და საერთო (გენერალურ) რეგლამენტს, აგრეთვე დიადი ოსტატის გადაწყვეტილებებსა და მორალისა და ეთიკის კოდექსს, აგრეთვე, საკუთარი სიმბოლური ლოჟის განაწესს. ძმა რომელიც ტოვებს ორდენს კარგავს რეგულარული ქვისმთლელის სტატუსს, ამასთანავე, არავის შეუძლია წაართვას მას ინიცირება და მისი მასონური ფიცი რჩება ძალაში.

რეგულარულობის ერთერთ პრინციპს მიეკუთვნება დიადი ლოჟების და სიმბოლური ლოჟე-ბის სუვერენიტეტი, თავისუფლება, ერთ ლოჟას არ აქვს უფლება ჩაერიოს მეორე ლოჟის საქმეებში. ყოველი სიმბოლური ლოჟა თავისუფალია, ამასთანავე ემორჩილება დიადი ლოჟის - დიადი ოსტატის გადაწყვეტილებებს. მხოლოდ დიად ოსტატს (და რიგ შემთხვევებში მის მოადგილეს) აქვს უფლება უხელმძღვანელოს ნებისმიერ სიმბოლურ ლოჟას, გადააყენოს ღირსეული ოსტატი და ხმა მისცეს ამა თუ იმ ლოჟაში მისაღებ გადაწყვეტილებას. ყოვლად ღირსეული დიადი ოსტატის საკუთარი უფლებამოსილების ნაწილს გადასცემს ფრიად ღირსეულ ძმებს - დიად ოფიცრებს, რომლებთან ერთად ქმნის დიადი ლოჟის სტრუქტურას. მასონობა არ არის კლასიკური დემოკრატიული სტრუქტურა, მიუხედავად თავისუფლებისა - მნიშვნელოვანია გამოცდილების პატივისცემა და მორჩილება. თავისუფლების უმთავრესი პრინციპია ყველა ძმის თანასწორობა. მაგრამ, იმისათვის, რომ აიგოს ტაძარი და სტრუქტურის მუშაობა იყოს ეფექტური აუცილებელია ყველა ძმამ იცოდეს თავისი ადგილი და ფუნქცია ამ ჯაჭვში, რომ ტაძრის კედლის ნაცვლად არ გამოვიდეს გაუთლელი ან თუნდაც გათლილი ქვების გროვა.
სიმბოლურ ლოჟებს შორის და სიმბოლურ ლოჟასა და დიად ლოჟას შორის კომუნიკაციას ახორციელებს სიმბოლური ლოჟის ღირსეული ოსტატი და ლოჟის მდივანი. ეს კანონია. დიადი ლოჟის თუ სიმბოლური ლოჟის შიდა ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას, ურთიერთობებს და ნორმებს არეგულირებს საქართველოს დიადი ლოჟის საერთო რეგლამენტი.

მნიშნველოვანი მასონური ქვაკუთხედია ის წესიც, რომ დიადი ლოჟა დამოუკიდებლად ახორციელებს ზედამხედველობას სიმბოლურ პირველ სამ ხარისხზე და შოტლანდიური წესდების საბჭოს თუ სხვა მასონურ ერთეულს არ აქვს დიადი ლოჟის ამ საქმიანობაში ჩარევის უფლება, ისევე, როგორც პირიქით.
ლოჟაში აკრძალულია რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა. სხვა ძმის აზრის პატივისცემა მნიშვნელოვანია, თუნდაც არ ეთანხმებოდეთ. რელიგიური მრწამსი ინდივიდი ძმის პირადი საქმეა, ისევე როგორც მისი პოლიტიკური ხედვა ან კუთვნილება, ეს საკითხები რჩება ლოჟის მიღმა.

ასევე მნიშვნელოვანი მასონური ქვაკუთხედი იმაში მდგომარეობს, რომ ქვისმთლელი შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეს წესი დღეს არქაულ გადმონაშთად ეჩვენება. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ არის არანაირ გენდერულ დისკრი-მინაციაზე, ან თუნდა[illegible] უნინ მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ საკუთარი თავის უფრო აქტიურად და ამკარად რომ
გამოხატვა. რიტუალის მსვლელობაში ქალი მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ
რიტუალით გამოწვეული ეფექტი მხოლოდ მამაკაცებისთვის არის ხელმისაწვდომი,
ამიტომ, ქალების მონაწილეობა მათთვისვე კარგავს აზრს. მიუხედავად იმისა, რომ
„ქალ მასონთა“ ლოჟებს უკვე ასი წლის და მეტი ისტორია გააჩნიათ, მათი აღიარება
რეგულარულად ჩვენთვის შეუძლებელია, რადგან მათ ლოჟებში (თუნდაც იდენტური
რიტუალის „ჩატარებისას“) მასონური ეგრეგორი და შედეგი არ დგება. რა თქმა უნდა
- თანამშრომლობა და კოოპერაცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა რიტუალურ
დონეზე.

შემდეგ ნომერში

- Masონობა საქართველოში
- მემფისი და მიცრაიმი
- ქართველი მასონები ემიგრაციაში
- ქალები და მასონობა
- ვარდისა და ჯვრის (როზენკროიცერთა) ინგლისის საზოგადოება - Societas Rosicruciana In Anglia (SRIA)

ეს სტატიები თქვენ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დიადი ლოჟის ელექტრონულ ცნობის ფურცელში #4, 28 თებერვალი, 2020.

www.grandlodge.ge